შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +

ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

Member of HLB International

ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-3 დან მე-5 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი-ს („ორგანიზაცია") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2015 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
გურამ კანდელაკი	არსენ დემურაშვილი
29 სექტემბერს 2015	*29 სექტემბერს, 2015*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვის +" -ს მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვის +"-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

მასშტაბის შეზღუდვა -კვალიფიკაცია

ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ჩვენი სამუშაოს მიმდინარეობის პარალელურად კომპანიის მიერ პერიოდულად ხდებოდა ბუღალტრულ ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა, რაც ზრდიდა ფინანსურ ანგარიშგებაში უზუსტობების გაპარვის რისკს. კომპანიის მიერ მოწოდებული საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთები არ ემთხვევა 2013 წლის აუდიტირებულ ინფორმაციას, მაგრამ სხვაობა არაარსებითია. კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერების წარმოების ხასიათიდან და ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით წარმოგვედგინა 2013 წლის შესადარისი მონაცემები კომპანიის მოგება-ზარალის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ამსახველ ანგარიშგებაში.

დასკვნა

ჩვენი აზრით, გარდა ზემოთ მოცემული პირველი აბზაცის ჩათვლით განხილულ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნებისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვის +"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დავით გოგოჭური
დირექტორი
ფინანსური მართვის ჯგუფი
29 სექტემბერი , *2015 წელი*
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31.12.2013 არა-აუდიტირებული	31.12.2014
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	2690860	2 927 872
გაცემული სესხები	5	11 873 141	19 239 580
მისაღები პროცენტები	5	530 875	1 360 918
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	751 920	2 273 555
სამეურნეო მასალები	7	780	3 938
მატერიალური აქტივები	8	1 295 703	1 889 214
არამატერიალური აქტივები	9	2 904	3 979
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**17 146 183**	**27 699 054**
სულ აქტივები		**17 146 183**	**27 699 054**
ვალდებულებები			
ნასესხები ფულადი სახსრები	10	14 985 071	25 053 193
გადასახდელი პროცენტები	11	48 527	29 674
დახმარების ფონდი	12	-	10 288
კრედიტორული დავალიანება	13	37 291	21 455
ავანსები	14	256 525	614 683
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	15	105 926	208 552
გადასახდელი გადასახადები	16	161 246	50 060
სულ ვალდებულებები		**15 594 585**	**25 987 905**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 250 000	1 250 000
დამატებული კაპიტალი		395 309	395 309
წინა წლების გაუნაწილებელი ზარალი		(93 711)	(1 602 157)
გაუნაწილებელი მოგება		-	1 667 997
სულ კაპიტალი		**1 551 598**	**1 711 149**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**17 146 183**	**27 699 054**

დირექტორი
გურამ კანდელაკი

29 სექტემბერს 2015
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
არსენ დემურაშვილი

29 სექტემბერს, 2015
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	12 თვე, 2014 წ.
საპროცენტო შემოსავალი	17	13 185 602
საპროცენტო ხარჯი	17	(2 946 884)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		**10 238 718**
შემოსავლები სხვა ოპერაციებიდან	18	44 167
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	18	762 878
მიღებული ჯარიმები და საურავები	18	2 780
საოპერაციო შემოსავალი		**809 825**
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	19	(9 380 546)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**1 667 997**
მოგების გადასახადი		(250 200)
წმინდა მოგება		**1 417 797**

დირექტორი
გურამ კანდელაკი

29 სექტემბერს 2015
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
არსენ დემურაშვილი

29 სექტემბერს, 2015
თბილისი, საქართველო

	31.12.2014
წლის მოგება	1 667 997
მოგების გადასახადის ხარჯი	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**1 667 997**
ცვლილებები წმინდა სესხებში	(7 366 439)
ცვლილებები მისაღებ პროცენტებში	(830 042)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(1 521 634)
ცვლილებები სამეურნეო მასალებში	(3 158)
ცვლილებები მატერიალურ აქტივებში	(593 511)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(1 074)
ცვლილებები ნასესხებ სახსრებში	10 068 122
ცვლილებები გადასადელ პროცენტებში	(18 853)
ცვლილებები დახმარების ფონდში	10 288
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(15 835)
ცვლილებები ავანსებში	358 159
ცვლილებები პერსონალის წინაშე ვალდებულებებში	102 626
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(111 186)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 745 459**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
დივიდენდის გაცემა	(1 508 446)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(1 508 446)**
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	237 012
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2 690 860
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**2 927 872**

დირექტორი გურამ კანდელაკი	მთავარი ბუღალტერი არსენ დემურაშვილი
29 სექტემბერს 2015 *თბილისი, საქართველო*	*29 სექტემბერს, 2015* *თბილისი, საქართველო*

	საწესდებო კაპიტალი	დამატებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 250 000**	**395 309**	**(93 711)**	**1 551 598**
წმინდა მოგება/(ზარალი)			1 667 997	-
დივიდენდის გაცემა	-		(1 508 446)	-
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 250 000**	**395 309**	**65 840**	**1 711 149**

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
გურამ კანდელაკი	არსენ დემურაშვილი
29 სექტემბერს 2015	*29 სექტემბერს, 2015*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვის + (შემდგომში -"ორგანიზაცია") დაფუძნდა 1999 წლის 4 ნოემბერს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202950226, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის ქ N 33 ა), ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან : ნაზიკო კანდელაკი (პ/ნ 01024020434) – 9%, გურამ კანდელაკი (პ/ნ 01026011514) – 32.75% , სალომე აბაიშვილი (პ/ნ 01006013571) – 26.25 %, თამარ კანდელაკი (პ/ნ 01026011515) – 17%, გიორგი ხიზანიშვილი (პ/ნ 01015001856) – 3.75 %, ქეთევან ხიზანიშვილი (პ/ნ 01005004256) – 2.5%, ეკა ხიზანიშვილი (პ/ნ 01015001783) – 2.5 %, ლელა მჭედლიძე (პ/ნ 01026017289) – 0.625 %, ლიანა მჭედლიძე (პ/ნ 01024057114) – 0.625%, გიორგი მამადაშვილი (პ/ნ 01013002170) – 5%.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცირე სესხების გაცემა.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ორგანიზაციის ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან. სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხის სამართლიან ღირებულებას, მაგალითად როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და მოგება ზარალის უწყისში აისახება დანაკარგების ტიპის მიხედვით. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მოსალოდნელ დაფარვის ვადაზე დაყრდნობით. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

შედეგად, სესხის ასახვა ხდება ნარჩენი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

3.4 ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან.

3.5 რეზერვები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე არ ხდება სესხების დარეზერვება.

3.6 უზრუნველყოფა

ორგანიზაცია წევრების ვალდებულებებზე უზრუნველყოფას ითხოვს, თუ ამას მართებულად მიიჩნევს. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს წევრების აქტივების დაყადაღების უფლებას, რაც ორგანიზაციას აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის შესაძლებლობას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

3.7 სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება

ორგანიზაცია რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ორგანიზაცია ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ორგანიზაციაში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციაში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ორგანიზაცია ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ორგანიზაციისათვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

3.8 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

3.9 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალს.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.10 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა(აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა(შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

ორგანიზაცია არ ახორციელებს შეფასებებს, რომ დაადგინოს რომელიმე ძირითადი საშუალების ცვლილება.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

3.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 15%-იანი განაკვეთით.

3.12 საგადასახადო დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის

მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომელიც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ორგანიზაცია აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაოების რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება და საბალანსო ანგარიშგებაში აისახება წმინდად, თუ:

- აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივის გაქვითვა მოგების გადასახადის ვალდებულებებთან მიმართებაში;
- გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და მოგების ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო ორგანომ დაუწესა ამავე საწარმოს.

3.13 მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება ხდება 5 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციას მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

3.14 საშემოსავლო გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

3.15 შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე

ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

3.16 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.17 საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება სესხის გაცემამდე სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დროს. ყველა სხვა საკომისიოების აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

3.18 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორგანიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

3.19 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

შენიშვნა 4 -ფული და ფულადი ექვივალენტები	**31.12.2013**	**31.12.2014**
ფული საბანკო ანგარიშებზე	89 210	615 725
ჯამურად ნაშთები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	**89 210**	**615 725**
ნაღდი ფული სალაროში	2 601 650	2 312 147
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	**2 601 650**	**2 312 147**
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**2 690 860**	**2 927 872**

შენიშვნა 5 - გაცემული სესხები

	31.12.2013	**31.12.2014**
გაცემული მოკლევადიანი სესხები	10 702 837	17 792 716
გაცემული გრძელვადიანი სესხები	1 170 304	1 446 864
დარიცხული პროცენტები	530 875	1 360 918
სულ გაცემული სესხები	**12 404 016**	**20 600 497**

შენიშვნა 6 -მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2013	**31.12.2014**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	751 920	2 273 555
სულ მოთხოვნები	**751 920**	**2 273 555**

შენიშვნა 7 - სამეურნეო მასალები

	31.12.2013	**31.12.2014**
სამეურნეო მასალები	780	3 938
სულ სამეურნეო მასალები	**780**	**3 938**

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დანარჩენი ძირითადი საშუალებანი	კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31/12/2013	680 864	154 726	62 443	126 266	358 602	53 660
აკუმულირებული ცვეთა	(14 935)	(25 215)	(6 770)	(31 198)	(60 281)	(2 459)
ბალანსი 31/12/2013	665 928	129 510	55 673	95 069	298 321	51 201
დანამატები	82 230	182 793	129 379	107 332	514 725	-
აქტივების ჩამოწერა	(44 730)		-	-	(267 896)	
ცვეთა პერიოდისათვის	(17 022)	(22 698)	(6 244)	(14 444)	(47 232)	(2 683)
ბალანსი 31/12/2014	686 407	289 605	178 808	187 957	497 919	48 518
ბალანსი 31/12/2013	**686 407**	**289 605**	**178 808**	**187 957**	**497 919**	**48 518**
ბალანსი 31/12/2014	**686 407**	**289 605**	**178 808**	**187 957**	**497 919**	**48 518**

შენიშვნა 9 - არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 31/12/2013	3 017
აკუმულირებული ცვეთა	(113)
ბალანსი 31/12/2013	2 904
დანამატი	2 444
ცვეთა პერიოდისათვის	(1 370)
ბალანსი 31/12/2014	3 979
წმინდა ღირებულება	
ბალანსი 31/12/2013	**2 904**
ბალანსი 31/12/2014	**3 979**

შენიშვნა 10 - ნასესხები ფულადი სახსრები

	31.12.2013	31.12.2014
რეზიდენტი ბანკებისგან ნასესხები ფულადი სახსრები	5866679	8783223
ფიზიკურ პირებისგან ნასესხები ფულადი სახსრები	9 118 392	16 269 971
სულ ნასესხები ფულადი სახსრები	**14 985 071**	**25 053 193**

შენიშვნა 11 - დახმარების ფონდი

	31.12.2013	31.12.2014
დახმარების ფონდი	0	10288
სულ დახმარების ფონდი	**-**	**10 288**

შენიშვნა 12 - გადასახდელი პროცენტები

	31.12.2013	31.12.2014
გადასახდელი პროცენტები კლიენტისგან მოზიდული სახსრების მიხედვით	48 527	29 674
სულ გადასახდელი პროცენტები	**48 527**	**29 674**

შენიშვნა 13 - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2013	31.12.2014
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან ეროვნულ ვალუტაში	37725	22076
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან უცხოურ ვალუტაში	(434)	(621)
სულ კრედიტორული დავალიანება	**37 291**	**21 455**

შენიშვნა 14 - კლიენტისგან მიღებული ავანსები

	31.12.2013	31.12.2014
კლიენტის ავანსები	256 525	614 683
სულ კლიენტისგან მიღებული ავანსები	**256 525**	**614 683**

შენიშვნა 15 - ვალდებულებები დაქირავებით მომუშავე პერსონალის წინაშე

	31.12.2013	31.12.2014
ვალდებულებები პერსონალთან	105 926	208 552
სულ კლიენტისგან მიღებული ავანსები	**105 926**	**208 552**

შენიშვნა 16 - გადასახდელი გადასახადები

	31.12.2013	31.12.2014
მოგების გადასახადი	114725	-162279
გადასახდელი დღგ	1035	3535
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	43173	199473
გადასახდელი ქონების გადასახადი	2314	9331
სულ ავანსები	**161 246**	**50 060**

შენიშვნა 17 -პროცენტული შემოსავლები და ხარჯები

	31.12.2013	31.12.2014
პროცენტული შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი სესხებიდან	-	12633574
საპროცენტო შემოსავალი გრძელვადიანი სესხებიდან	9 036 714	552 028
მთლიანი პროცენტული შემოსავალი	**9 036 714**	**13 185 602**
პროცენტული ხარჯი		
საპროცენტო ხარჯები	(2 286 866)	(2 946 884)
მთლიანი პროცენტული ხარჯი	**(2 286 866)**	**(2 946 884)**
წმინდა პროცენტული შემოსავალი	**6 749 848**	**10 238 718**

შენიშვნა 18 -სხვა შემოსავლები

	31.12.2013	31.12.2014
შემოსავლები სხვა ოპერაციებიდან	27 383	44 167
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	362 133	762 878
მიღებული ჯარიმები და საურავები	-	2 780
სხვა შემოსავლები	**389 516**	**809 825**

შენიშვნა 19 - ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2013	31.12.2014
ხარჯები ძვირფასი ლითონების იჯარაზე	-	124 915
დარიცხული საპროცენტო შემოსავლების კორექტირება (ჩამოწერა)	-	1 095 254
მიმდინარე ანგარიშების გახსნისა და წარმოების საკომისიოები და ხარჯები	-	13 479
საკომუნიკაციო მომსახურებისა და გამოთვლითი ცენტრების მიერ მომსახურების საკომისიოები	-	119 673
საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	-	7 548
აუდიტორული მომსახურების ხარჯები	-	22 184
დანარჩენი საკომისიოები და ხარჯები	4 402 880	724 886
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	762 818
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისაგან და გადაფასებისაგან	-	129 585
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	82
სასამართლოს ხარჯები	-	200
ხარჯები გასული წლების ოპერაციების მიხედვით	-	96
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	-	33 317
ზარალი იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით	-	1 539 907
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	-	3 838 954
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	-	1 525
რეკლამის ხარჯები	-	50 190
წარმომადგენლობითი ხარჯები		60 865
მივლინების ხარჯები	-	10 387
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	-	11 206
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	111 693
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	-	19 356
იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	-	273 370
კომუნალური მომსახურების ხარჯები	-	96 747
ჟურნალ-გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებზე გაწეული ხარჯები	-	144
შენობებისა და ფასეულობის დაცვის ხარჯები	-	55 710
საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები	-	9 811
საკანცელარიო ხარჯები	-	20 033
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების ხარჯის გარდა)	-	70 716
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	-	8 946
ხარჯები ბიუჯეტში გადასახადების მიხედვით (მოგების გადასახადის გარდა)		15 738
მოგების მიმდინარე გადასახადი	-	151 210
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**4 402 880**	**9 380 546**

შენიშვნა 20 - მოგების გადასახადი

ორგანიზაცია საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს იმ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის და მისი მეკავშირე კომპანიები მოღვაწეობენ და რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

ორგანიზაცია განიცდის მუდმივ საგადასახადო განსხვავებებს გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად ასოცირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და აგრეთვე გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

შენიშვნა 21 - ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს ტრანზაქციის მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად და არა ლიკვიდაციის, ან იძულების შედეგად. წარმოდგენილი შეფასებები შესაძლებელია არ ასახავდეს იმ თანხებს, რომლესაც მიიღებდა ორგანიზაცია მისი ფინანსური ინსტრუმენტების რეალიზაციის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივებისა და პასივების სამართლიანი ღირებულება დადგენილია შემდეგი წესით:

- სტანდარტული ვადებისა და პირობების მქონე და აქტიურ ლიკვიდურ ბაზარზე გასაყიდი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კვოტირებულ საბაზრო ფასებთან შედარების საფუძველზე (აქ შედის რეგისტრირებული გამოსყიდვადი ფასიანი ქაღალდები, კონვერტირებადი თამასუქები, სავალო ვალდებულებები და უვადო ფასიანი ქაღალდები).

- სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (დერივატიული ინსტრუმენტების ჩათვლით) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების საყოველთაოდ მიღებული მოდელების მეშვეობით, დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზის საფუძველზე, მსგავსი ინსტრუმენტებით

შესრულებული დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციების ფასებზე და დილერთა კვოტებზე დაყრდნობით.

შენიშვნა 22 - რისკების მენეჯმენტი

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ორგანიზაციას საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- ლიკვიდობის რისკს;
- სავალუტო რისკს;

ორგანიზაცია აღიარებს, რომ რისკის ეფექტიანი და ქმედითი მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ორგანიზაციამ დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ორგანიზაცია დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში.

ორგანიზაცია იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ორგანიზაცია აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მაქსიმალური ოდენობა ორგანიზაციას მაქსიმალური საკრედიტო რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზაცია ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ყველა გაცემული სესხი არის ფიქსირებული პროცენტით. ორგანიზაციას გააჩნია მნიშვნელოვანი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები, რომლების ასევე ფიქსირებული პროცენტით არის წარმოდგენილი. ვალდებულებების პროცენტს ორგანიზაციის მენეჯმენტი განსაზღვრავს, აქედან გამომდინარე ორგნიზაციის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი .

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკურსო სხვაობის რისკს. ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

	2014 წელი							
	ლარი	აშშ დოლარი	EURO	GBP	TRY	RUB	AZN	AMD
აქტივები								
ფულადი ნაშთები	1 205 716	884 099	25693	190	6235	165050	2992	200000
გაცემული სესხები	7 915 738	6 076 326						
სულ	**9 121 454**	**6 960 425**						
ვალდებულებები								
მიღებული სესხები	2 038 976	12 349 334						
სულ	**2 038 976**	**12 349 334**						

შენიშვნა 23 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.